ვახტანგ მამეიშვილი – 80

„მე ჩემი ხელოვნების კოშკი მაბარია“



ცნობილ მხატვარს და საზოგადო მოღვაწეს ვახტანგ მამეიშვილის კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება. ხელოვანი კაცი, ოზურგეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინების არაერთი აქციის ორგანიზატორი, ოზურგეთის მხატვართა, არქიტექტორთა და დიზაინერთა ასოციაციის ჩამომყალიბებელი... გაფორმებული აქვს 28 ეკლესია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (შვილთან ირაკლი მამეიშვილთან ერთად) მისი პროექტით აიგო 5 ეკლესია. 2013 წელს, ქ. ოზურგეთში, თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის წინ გაიხსნა მისი სახელობის პალიტრა. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. ახლახან ოზურგეთის სამხატვრო სკოლას მისი სახელი მიენიჭა.

1991 წელს ჟურნალისტთა პრესკლუბის გაზეთ „თვალსაწიერში“, ამ სტრიქონების ავტორის ვრცელი ინტერვიუ დაიბეჭდა ბატონ ვახტანგთან სათაურით: „მე ჩემი ხელოვნების კოშკი მაბარია“, რომელსაც გთავაზობთ შემოკლებით:

– ბატონო ვახტანგ, როდესაც კაცი ცხოვრების ნახევარსაუკუნოვანი მონაკვეთიდან უცქერის წარსულს, განვლილ გზას იხსნებს, მოდით ჩვენც ასე დავიწყოთ...

– რამდენი წავიდა ამ ქვეყნიდან სულ ადრე და მაინც მოასწრო თავისი წერტილის დასმა, უფალი ადამიანს რომ აჩენს, მას გარკვეულ უფლებას ანიჭებს საკუთრივ მოძებნოს თავისი როლი, შემოქმედებითად მიუდგეს ცხოვრებას და რაღაც დატოვოს კეთილი. ეშმაკსაც არ ძინავს, თავისას ითხოვს და ასე ბრძოლაში იწრთობა ხასიათი.

მუსიკალური ტრადიციების ოჯახში დავიბადე. ბაბუა, ჯარისპან მამეიშვილი, რატილის მოწაფე, მიხეილ კვაჭანტირაძესთან ერთად, პირველი სასულე ორკესტრის შემქმნელი იყო გურიაში. მამა-პროკოფი, დამოუკიდებელ საქართველოს სასულე ორკესტრში მოღვაწეობდა. სხვათა შორის იონა ტუსკია გახლდათ მისი მოწაფე. შემდგომში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიული ფაკულტეტი დაამთავრა. მე კი მხატვრობის ნიჭი აღმომაჩნდა.

როდესაც სამხატვრო აკადემია დავამთავრე, გულმა მშობლიური კუთხისაკენ გამომიწია. მდგომარეობას რეალური თვალით შევხედე, ჩემნაირი და უკეთესი მხატვარი ბევრი იყო თბილისში, უჩემოდაც იოლად გავიდოდნენ. აქ კი აშკარა სიცარიელე იყო. ვიფიქრე, „ადგილის დედას“ ვჭირდები, საკუთარ ფესვებთან სიახლოვე ძალას შემმატებდა და ჩემს მიზანს ხელოვნებაში უკეთ მივაღწევდი.

მასწავლებლის ოჯახში გავიზარდე და ეკონომიკურად რა დასამალია –გვიჭირდა, ოჯახი თავისას ითხოვდა. ერთი წელი უმუშევარი ვიყავი. რაღაცნაირი წრე იყო შეკრული, „ზემოთ“-პრიმიტიული კასტა, რომელიც ყველაფერს განაგებდა. ხელოვნება მხოლოდ კომუ-

>>> გვ–5

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 17 (10384) 14 ივნისი 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

„გურია ექსპრესი“ გაფიცული მუშების მოთხოვნებს დააკმაყოფილებს

36-დღიანი გაფიცვის შემდეგ შპს „გურია ექსპრესის“ მეპატრონეებმა და გაფიცულ მუშებმა შეთანხმებას მიაღწიეს. სახელმწიფოს მიერ დანიშნული მედიაცია წარმატებით შედგა და გავრცელებული ინფორმაციით კომპანია თანამშრომლების ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს, რაც ანაზღაურების გაზრდას და შრომის სათანადო პირობების შექმნას გულისხმობს.

გაფიცულები ამბობენ, რომ „გურია ექსპრესი“ სავარაუდოდ შაბათს გააფორმებენ ახალ ხელკრულებას და მომავალი კვირის ორშაბათიდან მუშაობას შეუდგებიან.

– ყველაფერზე შევთანხმდით, ორშაბათიდან მუშაობას შევუდგებით და ჩვენს ურთიერთობას კომპანიასთან ახალი ფურცლიდან დავიწყებთ– განაცხადა ერთ-ერთმა გაიფულმა ლადო ურუშაძემ.

ჩირედან საჭიდაო დარბაზამდე

ერთი დღე სოფელ შრომაში

ერთი დღე სოფელ შრომაში

საქართველოში რამდენიმე სოფელი ვიცი, რომელსაც შრომა ჰქვია. სახელწოდება, ალბათ, იქედან მომდინარეობს, რომ ამ სოფლებში შრომითა და გარჯით გამორჩეული ხალხი ცხოვრობს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი შრომა თავის სეხნია სოფლებს საგრძნობლად აღემატება როგორც ტერიტორიით, ისე მოსახლეობის რაოდენობით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შრომის ადმინისტრაციულ ერთეულში შედის სოფლები: თვით შრომა, ორმეთი, ზედუბანი, ვაკე, მოცვნარი და ხრიალეთი. კომლების საერთო რაოდენობა 1450-ია, ოჯახებისა – 1250.

გასული კვირის ხუთშაბათს, 10 ივნისს შრომაში ექსკურსი ამ სოფელში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელთან, ბატონ **კონსტანტინე ხომერიკთან** ერთად, ჩირედან დავიწყეთ. ჩირე, რკინიგზის გადაღმა ურეკის მარჯვნივ მდებარე, შრომის საკმაოდ ვრცელი უბანია. აქ დღესდღეობით მეტად საინტერესო და აუცილებელი პროექტი ხორციელდება, კეთდება ურეკი-შრომა-ლანჩხუთის გზა, რომელიც მნიშვნელოვანწილად განტვირთავს ავტობანის ახლომდებარე მონაკვეთს, გარდა ამისა, ხელს შეუწყობს სხვადასხვა სტრუქტურის განვითარებას და, აქედან გამომდინარე, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ შირე და აქ მშენებარე 2 კმ სიგრძის გზა კურორტ ურეკისა და სოფელ შრომის ხვალის პერსპექტივაა. საგზაო სამუშაოებს შპს „პალადა“ აწარმოებს, სამუშაოთა მწარმოებელი **მამუკა ორაგველიძე** გახლავთ.

როგორც კონსტანტინე ხომერიკმა გვითხრა, არანაკლებ მიშვნელოვანია მეორე საგზაო პროექტი – ურეკი-ეკალდიდი-დონაურის ბეტონის გზა, რომლის მშენებლობა ბოლო ეტაპზეა 6,032 კმ სიგრძის ბეტონის გზის მშენებლობისთვის პროექტის მიხედვით 2 მილიონ 357 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. საგზაო სამუშაოთა მწარმოებელია შპს „გუგა“ (დირექტორი – **შოთა მჟავანაძე,** მთავარი ინჟინერი – **კარლო გობრონიძე**).

შრომა იმდენად ვრცელი სოფელია, რომ მხოლოდ შიდა გზების ჯამური სიგრძე 200 კილომეტრს აღემაღება, ამაში არ შედის საპლანტაციო გზები.

„ბოლო 2-3 წელიწადში 10 კილომეტრი სიგრძის ბეტონის გზა დავაგეთ, პირადად მეც ფიზიკურად ვმონაწილეობდი ამ სამუშაოებში. ვერ ვიტყვი, რომ ეს ზღვაში წვეთია, მაგრამ სოფელში საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოების გაგრძელება ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანად მიმაჩნია“. – გვითხრა კონსტანტინე ხომერიკმა.

ეკალდიდში, სადაც

>>> გვ–3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ.) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ.) მთლიანი გვერდებისა –150-150 ლარი;

–1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად, (810 კვ.სმ.) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. სმ.) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის ღირებულება 50 ლარით იზრდება.ზ– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. სმ-ზე, სურათით 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება – სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ.) – 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი –სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ.)-2 ლარი.

საცალო ფასი: 60 თეთრი.

ხელმოწერა:

ერთი თვით –2,40 ლარი;

სამი თვით –7,20 ლარი;

6 თვით –15 ლარი;

ერთი წლით –30 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე არ შეიძლება.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 49 91 00

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 37 35 15

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 57 60 60

რედაქციის მისამართი:
ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3
ტელ. 558 499100
გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18.11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

დაიწყეთ ყოველი ორშაბათი ალიონზე „ალიონით“

ლატვიის დელეგაცია ოზურგეთში

ოზურგეთში იმყოფებოდა ლატვიის 16-კაციანი დელეგაცია, რომლის სასწავლო ვიზიტი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის - განათლებისა და გენდერულ საკითხთა განყოფილების ორგანიზებით ხორციელდება.

7 ივნისს, ლატვიის 16 კაციან დელეგაციას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა საზეიმო დახვედრა მოუწყო. მოსწავლეებმა, სტუმრებს გურიისა და თავიანთი სკოლის შესახებ ესაუბრეს, ასევე მათი შესრულებით მოეწყო სხვადასხვა პერფორმანსი.

სტუმრებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში კონსტანტინე შარაშენიძემ უმასპინძლა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა სტაჟირების პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდულ და სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

მერმა სტუმრებს სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

ლატვიელმა სტუმრებმა სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, ნატანებში მარწყვის სასათბურე მეურნეობა მოინახულეს.. გაეცნენ სასათბურე პირობებში მარწყვის წარმოების ტექნოლოგიურ სიახლეებსა და მეთოდების დანერგვას. ასევე სოფელ ვაკიჯვარში, ოთარ ჩხარტიშვილის შ.პ.ს „ვაკიჯვრის კალმახის“ სატბორე—საკალმახე მეურნეობას გაეცნენ და მიიღეს მონაწილეობა მუშაობის პროცესში.

ვიზიტის ბოლო დღეს, დაგეგმილი იყო სამთო კურორტ გომისმთის მონახულება, თუმცა მიმდინარე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, დელეგაციამ, ჩოხატაურში კურორტი „ბახმარო“ დაათვალიერა.

ლატვიელები, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრს,სურათების გალერეასა, კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის, ფოლკლორის ცენტრებს სტუმრობდნენ, სადაც მათთვის მომზადებული ღონისძიება ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების შესრულებით იხილეს.

სტაჟირების პროგრამას, ლატვია ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით ახორციელებს, რომელიც სოფლის მეურნეობაში და ამ დარგის სპეციფიკის შესწავლას ითვალისწინებს. ოზურგეთში, ლატვიელი მოსწავლეები სტაჟირებას სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით გადიან.

საერთაშორისო პროექტი განხორციელდა

პრეილის (ლატვია), ნიჟინის (უკრაინა) და ოზურგეთის (საქართველო) მუნიციპალიტეტების, მრავალმხრივი პარტნიორული თანამშრომლობის ფარგლებში, მორიგი საერთაშორისო პროექტი განხორციელდა.

ამჯერად, სამი ქვეყნის ახალგაზრდებმა, 1 ივნისს - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ერთობლივი სიმღერა ჩაწერეს და ვიდეო გამოაქვეყნეს: ლატვიური ხალხური სიმღერა “კუპლა, ცაცხვის ხეებით სავსე” - ასე ეწოდება სიმღერას, რომელსაც სხვადასხვა პლატფორმაზე უკვე მრავალი მაყურებელი ჰყავს. პროექტი ეძღვნება თანამშრომლობის განვითარებას. აღსანიშნავია, რომ ვიდეოში გამოყენებულია ევროპისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბავშვების მიერ გარემოსდაცვით თემებზე შესრულებული ილუსტრაციები. ნიჟინისა (უკრაინა) და პრეილის (ლატვია) მუნიციპალიტეტის თანატოლებთან ერთად პროექტში „ოზურგეთის სამხატვრო სკოლისა“ და „ფოლკლორის ცენტრის“ აღსაზრდელები მონაწილეობდნენ.

ოზურგეთის მერი კონსტანტინე შარაშენიძე განსაკუთრებულ მადლობას უხდის მუსიკალური და სამხატვრო ვიდეოს ორგანიზატორებს, ყველა ბავშვს და მასწავლებლებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ ვიდეოს შექმნაში, კერძოდ: „ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრს,“ „ოზურგეთის სამხატვრო სკოლას“ და სამივე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს.

შეგახსენებთ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა, ლატვიელ პარტნიორებთან ერთად პროექტების წარმატებით განხორციელება, მას შემედეგ დაიწყო, რაც კარგი მმართველობის (N4ED-ის) პროექტის ფარგლებში „საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის“ დელეგაციის (NA%AჩÃ) ვიზიტი შედგა.

დელეგაციის წევრისა და პროექტების ორგანიზატორის ნანა თავდუმაძის განცხადებით, მიუხედავად პანდემიური ვითარებისა, ონლაინ პლატფორმების გამოყენებით, ჩვენს საერთაშორისო მეგობრებთან ერთად მაინც ვახერხებთ მუდმივ კომუნიკაციაში ყოფნას და ახალი იდეებისა და ინიციატივების რეალიზაციას. საგულისხმოა, რომ პარტნიორული ურთიერთთანამშრომლობის აქტიური მხარდამჭერია ლატვიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თეა მაისურაძე, „ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრო,“ „ლატვიის ადგილობრივი და რეგიონული მმართველობების ასოციაცია“ და „ოზურგეთის ადგილობრივი თვითმმართველობა.“

საერთაშორისო პროექტები: „ევროპული სოლიდარობის დღეები პრეილში, ნიჟინსა და ოზურგეთში,“ ლატვიის „ადაჟის თავისუფალი ვალდორფის სკოლის“ სტაჟირების პროგრამა ოზურგეთში, სოფლის მეურნეობის მიმართულებით და საერთაშორისო შემოქმედებითი კონკურსები, ვებინარები - მრავალმხრივი თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითებია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი პარტნიორ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობას აგრძელებს.

შეხვედრა გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა მიმართულების ხელმძღვანელი პირები სახელმწიფო რწმუნებულს გურიის მხარეში გიორგი სახოკიას, მუნიციპალიტეტების მერებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრაზე სტუმრებმა დამსწრე საზოგადოებას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმდინარე პროგრამების/პროექტებისა და ინიცირებული სერვისების შესახებ დეტალური ინფორმაცია გააცნეს.

აქტივობის მიზანია ადგილობრივი თვითმართველი ერთეულების, მუნიციპალიტეტის მერიების ადმინისტრაციულ ერთეულებში წარმომადგენლების ჩართულობა ერთიანი სოფლის განვითარების პოლიტიკის განხორციელების პროცესში, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის გაზრდის ხელმისაწვდომობის კუთხით.

ოზურგეთში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი ცხელ კვალზე გაიხსნა

გურიის პოლიციამ ოზურგეთში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა — დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყაჩაღობის ბრალდებით, 1970 წელს დაბადებული, წარსულში ანალოგიური დანაშაულისთვის ნასამართლევი კ.ჭ. დააკავეს.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მიმდინარე წლის 8 ივნისს, ოზურგეთში, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე მდებარე „სოკარის“ ავტოგასამართ სადგურს ყაჩაღურად თავს დაესხა, გადაჭრილი სანადირო თოფის — ე.წ. აბრეზის მუქარით ოპერატორს 135 ლარი გასტაცა და მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, კ.ჭ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ბრალდებულის სახით დააკავეს.

სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევის გზით ჩადენილ ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქციას

თქვენი მაღალრეიტინგული გაზეთის საშუალებით, მინდა, მადლობა გამოვუცხადო ოზურგეთის სასწრაფო სამედიცინო განყოფილებას და ამ განყოფილების ექიმს, ქალბატონ **მადლენა ბერიძეს** ბინაზე გამოძახების შემდეგ, ჩემთვის მაღალკვალიფიციური და პროფესიონალური მომსახურებისთვის.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ადამიანები.

პაციენტი **ზაურ გაბრიჩიძე,**

მეცნიერების დოქტორი, პროფესორი.

ჩირედან საჭიდაო დარბაზამდე

ერთი დღე სოფელ შრომაში

მოტკეპვნითი სამუშაოები ჩირეში

ასამდე კომლი ცხოვრობს, სექტემბრიდან სკოლის ახალ შენობაში განახლდება სასწავლო პროცესი. მანამდე კი ეს საბაზო სკოლა შესაბამისი სასკოლო ინფრასტრუქტურით აღიჭურვება.

სოფელში მთლიანად გაყვანილია ბუნებრივი აირის მილები. ვაკეში, ორმეთსა და ზედუბანში.

ორ-სამ დღეში დაიწყება აირის ოჯახებში შეყვანა, დამონტაჟება და აბონენტირება.

ხრიალეთში გაკეთდა ჭაბურღილი. იმ მარაგის წყალი ამოვიდა, რომ 150-მდე ოჯახს უზრუნველყოფს სასმელი წყლით, ჯერჯერობით არ არის ჩართული. სოფლის ცენტრში გაკეთებული ჭაბურღილი კი უკვე ექსპუატაციაშია და სასმელი წყალი მიეწოდება სკოლასა და მიმდებარე ტერიტორიას.

შეღობილია სოფლის თორმეტივე სასაფლაო. ცუდი შედარებაა, მაგრამ მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სოფელი საერთო ფართით, თურმე ნაკლებია ამ სასაფლაოებზე.

გადაიხურა კულტურის სახლი, რითაც ფაქტობრივად გადარჩა ეს შენობა და მასში განთავსებული ღირებულებანი. ახლა მთავარია, როგორმე გამოიძებნოს სახსრები როგორც ინტერიერის, ისე ექსტერიერის სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად.

რაც შეეხება სოფლის ადმინისტრაციულ შენობას – იშვიათ არქიტექტურულ ქმნილებას, მის სარესტავრაციოდ ვინმეს კეთილი ნების იმედზე არ უნდა ვიყოთ. სახელმწიფომ, შესაბამისმა სამინისტრომ იგი უნდა ჩასვას სასწრაფოდ სარესტავრაციო უნიკალურ ნაგებობათა ნუსხაში.

შრომის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში ნომერ პირველ პრობლემად გზები და სასმელი წყალი რჩება.

კონსტანტინე ხომერიკის თქმით, ერთ თვეში დაიწყება წლევანდელი სოფლის მხარდამჭერი პროექტების განხორციელება, გაკეთდება ორი მოსაცდელი, გადაიხურება საჭიდაო დარბაზი, მოწესრიგდება შიდა გზები – დაიგება ბეტონი.

რამდენიმე სიტყვით ჩაისა და ციტრუსოვნების შესახებ. ჩაიმ კარგა ხანია შრომაში ჩაილურის წყალი დალია, ციტრუსიც

სამუშაოების ბოლო ეტაპი ეკალდიდი – დონაურის გზაზე

მის ბედს გაიზიარებს თუ ხელისუფლების მხრიდან რაიმე ქმედითი ღონისძება არ გატარდა. შარშან შრომელებმა თითქმის მთლიანად იზარალეს მანდარინის მოწეული მოსავალი, რადგან ვერ მოახერხეს მისი რეალიზება. კონსტანტინე ხომერიკის აზრით, მუნიციპალიტეტში აუცილებლად უნდა მოქმედებდეს ხილის გადამამუშავებელი საწარმოები, მათ შორის მინიმუმ ერთი ასეთი საწარმო შრომაშიც უნდა იყოს.

სახარბიელო მდგომარეობა ვერც ერთწლიანი კულტურების სავარგულებშია, 380 ჰექტარი სახნავ-სათესიდან დათესილია მხოლოდ 70 ჰექტარი და ამის უპირველესი მიზეზი უტრაქტორობაა. სოფელში კი არა, მთლიანად მუნიციპალიტეტში სახნავ-სათესი ტექნიკის დიდი დეფიციტია, რის გამოც მოსახლეობა უყანოდ და შემოდგომა-ზამთრისთვის უსიმინდოდ რჩება. უსიმინდო სოფელი კი დამშეულია, მეტადრე დასავლეთ საქართველოში.

მოკლე ექსკურსის შემდეგ, სოფლის ცენტრში იმ დროს მივედით, როცა საჭიდაო დარბაზში ახალდაწყებული იყო **იური ხომერიკის** ხსოვნის ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის 2008-2010 წლებში დაბადებული მოჭიდავეები.

მოუცლელობის მიუხედავად, სოფელ შრომის ჭიდაობის სექციის ხელმძღვანელმა ბატონმა **გურამ აბაშიძემ** რამდენიმე წუთი მაინც გამონახა ჩვენთან სასაუბროდ:

„იური ხომერიკი ასევე შრომელი მოჭიდავისა და მწვრთნელის შაქრო ტუღუშის აღზრდილია. ბატონი იურის წარმატებები საყოველთაოდ ცნობილია, როგორც რესპუბლიკურ, ისე ყოფილ საკავშირო ჩემპიონატებსა და სხვადასხვა ტურნირებში. ტურნირი ტრადიციულია და ყოველწლიურად მაღალ დონეზე ტარდება. მხოლოდ შარშან არ ჩატარებულა ქვეყანაში არსებული კოვიდ-პანდემიის გამო. წლევანდელი ტურნირი, რომელიც რამდენიმე წუთის წინ დაიწყო, საკმაოდ წარმომადგენლობითია, მასში მონაწილეობენ ხაშურის, ჭიათურის, ბორჯომის, ბაღდათის, ქუთაისის, ლანჩხუთის, ხობის, ფოთის ხულოს, ბათუმის გუნდები. ოზურგეთს ამ ტურნირში ძირითადად შრომელი მოჭიდავეები წარმოადგენენ. სტუმარი გუნდები დაბინავებულია კურორტ ურეკის სასტუმროებში. ფინალური ორთაბრძოლები ხვალ გაიმართება. ვეცდებით, ღირსეულად გამოვიდეთ“.

იური ხომერიკის ხსოვნის ტურნირზე

გამომშვიდობებისას კონსტანტინე ხომერიკმა გვითხრა, რომ სოფლის ყველა პრობლემას ერთობლივად განიხილავენ ის და სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი **დავით ჭაკნელიძე,** რასაკვირველია, მოსახლეობის ჩართულობით. ერთობლივად მუშაობენ სხვადასხვა პროექტებზე. ასევე ისაუბრა თავის თანაშემწეებზე **კახა ქადეიშვილზე**, **კოტე ბოლქვაძესა** და **იონა მამფორიაზე**. განსაკუთრებით აღნიშნა კახა ქადეიშვილის ღვაწლი, რომელსაც სოფლად ორგანიზებული მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

წარმატებები შრომას.

თემურ მარშანიშვილი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი
GURIA YOUTH RESOURCE CENTER

UNDP

საგრანტო კონკურსი

სამიზნე რეგიონი – გურია

„გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი“, საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზება საქართველოს სოფლის მეურნეობაში“ (UNDP/SDC VET) პროექტის ხელშეწყობით, აცხადებს ინოვაციების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამას (სამიზნე რეგიონი - გურია). პროგრამა ითვალისწინებს ნოვატორული იდეების, სასოფლო-სამეურნეო სფეროში არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებისკენ მიმართული საპროექტო განაცხადების მიღება/მხარდაჭერას. საპროექტო იდეები გათვლილი უნდა იყოს სათემო, მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე სოფლის მეურნეობის სფეროში ახალი ტექნოლოგიების, კულტურულ-მექანიზაციურ თუ ტრადიციულ მეთოდოლოგიებში იმგვარი სიახლის შემოტანის მიმართულებით, რომელიც ხელს შეუწყობს დამატებითი შემოსავლის მიღების პერსპექტივების გაჩენას, მოსავლის მოცულობის ზრდას, ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული ეფექტური, ტექნიკური, კულტურული ნოვაციების შექმნას და დანერგვას.

მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, რომ გრანტით (მაქსიმუმ 5, 000 ლარი) არ გადმოგეცემათ ფულადი სახით, არამედ გრანტის გამცემი ორგანიზაცია ყიდულობს თქვენს მიერ მოთხოვნილ პროდუქტს, ტექნოლოგიას ან სერვისს). აგრეთვე, ინოვაციური იდეათა კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, გრანტი ითვალისწინებს განმცხადებლის მხრიდან თანამონაწილეობას (პროექტის საერთო ღირებულების 20%, აქედან 5% ნაღდი ფულით).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

საგრანტო კონკურსის II ეტაპზე განაცხადები მიიღება 2021 წლის 31 ივლისის ჩათვლით. სააპლიკაციო ფორმის ჩამოსატვირთად გადადით ბმულზე - https://bit.ly/3aNQQ54

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადის შევსებული ფორმა უნდა გამოგზავნონ 2021 წლის 31 ივლისს 18:00 სთ-მდე ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: gyrc.info@gmail.com subject - ში მიუთითეთ UNDP grants.

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 599981898

ალიონი 90
1938 წელი

შოთას საიუბილეო საღამო

29 დეკემბერს სახელმწიფო თეატრში შედგა შოთა რუსთაველის საიუბილეო საღამო.დარბაზი ვერ იტევდა მოზღვავებულ ხალხს. რუსთაველის შემოქმედების სესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა მწერალმა დ. ბენაშვილმა.

მოხსენების სემდეგ რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა თავაძემ. მანვე აგრეთვე წაიკითხა საინტერესო ადგილები „ვეფხისტყაოსანი“-დან.

ლექსებით გამოვიდნენ მოწაფეები ბახვის სრული საშუალო სკოლიდან, მოზრდილთა საშუალო სკოლიდან და მწერალთა წრიდან.

დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელსაც 600-მდე კაცი დაესწრო.

№1, 1 იანვარი, 1938 წ.

ბოლშევიკური ტემპებით გავშალოთ საქალაქო მეურნეობის რეკონსტრუქცია

ქალაქი მახარაძე დღითიდღე იცვლის სახეს, ლამაზდება, სწარმოებს მისი რეკონსტრუქცია მშრომელთა გაზრდილი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებასთან შეფარდებით. საქალაქო მეურნეობის გარდაქმნაზე 350.000 მანეთი დაიხარჯა შარშან, წელს კი, გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია 3 მილიონი მანეთის დახარჯვა.

წყალსადენი

მიმდინარე წელს უნდა დამთავრდეს წყალსადენის მშენებლობა. გაკეთდა რეზერვუარი და წყალმიმწოდი ქსელი.

წყალსადენის მშენებლობა 1936 წელს დაიწყო, შარშან იგი ნაწილობრივ შევიდა ექსპლოატაციაში. მშენებლობაზე მარტო მიმდინარე წელსდაიხარჯა 200.000 მანეთი, სულ კი წყალსადენი 510 ათასი მანეთი.

ქუჩები

ქუჩების გამწვანებისა, ასფალტირებისა და საერთოდ, მათი კეთილმოწყობის საქმეში აღებული ტემპები ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად. მიზეზი თანხის სიმცირეა. მართალია, ქალაქის საბჭომ გათვალისწინებულ 40 ათასი მანეთის ნაცვლად გამონახა წყაროები და 80. ათასი მან. დააბანდა ქუჩების კეთილმოწყობისათვის, მაგრამ ესეც არ კმარა. სწორედ თანხის უქონლობამ შეაფერხა ერთ-ერთი მთავარი ქუჩის –ლენინის ქუჩის (ყოფ. ნატანების) კეთილმოწყობა, რაც კიდევ ორი წლის წინათ დაიწყო.

1937 წელს მოიკირწყლა ორჯონიკიძის ქუჩა, დაიწყო მისი ასფალტირება, გამწვანდა. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა ბერიას ქუჩას, გაფართოვდა ხიდები ბაზრის წყალზე და სხვ.

1938 წელს ასფალტი მოიგება კიროვის,ბერიას, სტალინის, ორჯონიკიძის ქუჩებზე. საერთოდ, წელსქუჩების კეთილმოწყობაზე დაიხარჯება 95. 000 ლარი.

ქალაქის გამწვანება

შარშან გურიის ჯპროსპექტის დასაწყისში აღებული იქნა დარაბები. მათ ადგილას გაშენდა სუბტროპიკული ბაღი, რომელზედაც დაიხარჯა 30.000 მანეთი. ბაღი გაშენდა კიროვის (ყოფილი სამხედრო) მოედანზე, რომელიც ერთნახევარ ჰექტარს მოიცავს. ლენინის მოედანს კაპიტალური რემონტი გაუკეთდა, მოეწყო წყლის შადრევანი და სხვ.

ახალი სახე

მრავალსართულიანი სახლები ქალაქს ახალ, ლამაზ ელფერს აძლევს. მახარაძის ქუჩაზე, კავშირგაბმულობის გვერდით შენდება აბრეშუმის ფაბრიკის მუშათა საერთო საცხოვრებელი –ოთხსართულიანი შენობა. მასში იქნება 15 ბინა 45 ოთახით. საერთო საცხოვრებელი მზად უნდა იყოს მიმდინარე წლის 1 მაისისათვის, მაგრამ მშენებლობის მუშათა კოლექტივმა აიღო ვალდებულება ვადაზე ერთი თვით ადრე, პირველი აპრილისათვის დასამთავრებლად. ყველა პირობა გააცნიათ ამ ვალდებულების განაღდებისათვის.

აბრეშუმის ფაბრიკის მუშათა საერთო საცხოვრებელი ერთ-ერთი საუკეთესო შენობა იქნება რიონში არამარტო აღნაგობის, სილამაზისა და სიმკვრივის მხრივაც, (თითოეულ ბინაში იქნება 3 ოთახი, საკუთარი ვანა, საირფარეშო და სხვ.)

სავაჭროებს გადაედგა მეორე სართული, რამაც ქალაქი კიდევ უფრო გაალამაზა. ამ მხრივ გაგრძელდება მუშაობა წელსაც. სავაჭროებს მეორე სართულს გადააშენებს წითელი ჯვრის ორგანიზაცია, შემნახველი სალარო და ა.შ.

კინოთეატრის შესახებ

ორჯერ დაირღვა კინოთეატრის მშენებლობის დამთავრების ვადა. საქკინმრეწვის მოუქნელი ხელმძღვანელობის მიზეზით მშენებლობა ოთხი წელია ჭიანურდება. საქკინმრეწვი „ხოშის“ მიხედვით აფინანსებს კინოს მშენებლობას. შარშან უნდა გადმოერიცხათ 285 ათასი მანეთი. წესის მიხედვით ფულს უნდა ღებულობდეს მშენებლობა ყოველკვარტალურად. ფაქტიურად კი აღნიშნული რაოდენობიდან 52 ათასი მანეთი გადმორიცხეს წლის მიწურულში –29 დეკემბერს.

ასეთივე მდგომარეობაა საამშენებლო მასალების მიწოდების მხრივაც: მრავალი მოთხოვნების მიუხედავად საქკინმრეწვი ელნათურებს და შნურს არ აგზავნის.

მესამე ვადის მიხედვით კინოთეატრი მზად უნდა იქნეს მიმდინარე წლის 1 მაისისათვის. დაიტევს 600 მაყურებელს. მშენებლობის დასამთავრებლად გათვალისწინებულია 650 ათასი მანეთი, –მშენებლობის ხელმძღვანელების განცხადებით არ იქნება საკმაო.

ახლავე უნდა იქნეს მიღებული გადამჭრელი ზომები კინოთეატრის ექსპლოატაციაში გადასაცემად პირველი მაისისათვის.

№2, 5 იანვარი, 1938 წ.

მუშსოფლკორთა შენიშვნები
აშკარა დანაშაული

ლაითურში ფიზკულტურის მუშაობა ამ უკანასკნელ დროს გამოცოცხლდა. მოეწყო ფრენბურთის, ფეხბურთის გუნდები და გაკეთდა მოედანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ფიზკულტურული ხელსაწყოები არ გაგვაჩნია. საამისო მიღებული 2000 მანეთი მუშათა კომიტეტმა (თავმჯდომარე მიქატაძე, მდივანი ჩიქოქიძე) სხვა დანიშნულებას მოახმარა.

კინოგაზის შესახებ

შრომაში მოძრავი კინო იშვიათად დადის. 8 ტვეა მოსახლეობას კინოსეანსი არ უნახავთ. მოთხოვნილება კი მასზე ძალიან დიდია.

მახარაძის კინო-ბაზა ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად არ ზრუნავს.

დ. კუბუსიძე

სიცივე და დაპირება

ფატარის დაწყებით სკოლაში გათბობის საქმე არ არის მოგვარებული, აქ ბუხარი არ გაუკეთებიათ. სკოლის გამგე მოწაფეებს ეუბნება: „ ამ დღეებში სოფლსაბჭო მოიტანს აგურს, გააკეთებენ დიდ ბუხრებს, დავანთებთ ცეცხლსდა ყველანი ერთად გავთბებითო.“

განა დასაშვებია ასეთი მდგომარეობა?

ბინის სივიწროვე ხელს გვიშლის

ასკანის კლუბს მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავებისთვის ხელი ეშლება ბინის სივიწროვით. მზყურებელთა დარბაზი მცირე მოცულობისაა. სცენაზე საშუალო ზომის პიესის დადგმაც ძნელდება. სოფლსაბჭო ფიქრობს კლუბის შენობის გაფართოებას, მაგრამ პრაქტიკული შედეგი ჯერ-ჯერობით ვერ მივიღეთ.

სოფლსაბჭოს ახალმა თავმჯდომარემ ამხ. ნინიძემ გადასდგა ნაბიჯი შენობის გასაფართოებლად. ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია განსაზღვრული თანხები, ხოლო საჭიროა ამ ხარჯების დამტკიცება და დროზე მიღება, რომ საშუალება გვექნეს კლუბის გაფართოებისა და კულტურულ-მსაობრივი მუშაობის კიდევ უფრო გაჩაღებისათვის.

დ. სირაძე

№4, 15 იანვარი, 1938 წ.

„ძველი სიტყვა მოკლედ ითქმის შაირია ამაზე კარგი“

გამოფენა „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა“

საქართველოს [illegible] „შოთა მისი ეპოქა“. [illegible] ნაწერებში, ბეჭდვით გამოცემებში, თარგმანებში და სხვ., აგრეთვე გაეცნონ იმ ეპოქის ხელოვნებას, ყოფაცხოვრებას, ეკონომიკას, რომელშიც ცხოვრობდა დიდი ქართველი პოეტი.

—ჩვენმა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა,—თქვა ამხ. ჩარკვიანმა, გვასწავლა ჩვენ ფასი ისტორიის იარაღისა და მისი გამოყენების ენარი. მიიღო რა ეს მხედველობაში, საიუბილეო კომიტეტი ამხ. ლ. პ. ბერიას ინიციატივით შეუდგა გამოფენის სამზადისს, მობილიზაცია უყო კულტურულ, სამეცნიერო ძალებს. გამოფენა მზად არის. იგი შეიცავს სამ დიდ განყოფილებას: ყოფაცხოვრებისა და კულტურისას, ხელოვნებისას და ლიტერატურისას.

ამხ. ჩარკვიანმა აღნიშნა დი-

საოცარი ხბო

ბორჯომი, 4 იანვარი, (საკდესი). ბორჯომის რაიონის ციხისძვრის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში 1937 წლის ოქტომბერში „შვიცის“ ჯიშის ძროხამ „ნათელამ“მოიგო ხბო, რომელიც 50 კილოგრამს იწონიდა. მოზვერს „ვულკანი“ დაარქვეს. იგი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ჰყავთ. ყოველდღიურად თითო კილოგრამს მატულობს იგი.

„ვულკანი“ ამჟამად 120 კილოგრამს იწონის (7 ფუთნახევარი). ამ სამი თვის საოცარ ხბოს გაგზავნიან სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, როგორც ეგზემპლიარს თავისი წონის და განვითარების მიხედვით.

№4, 15 იანვარი, 1938 წ.

კომკავშირულ მჭედელთა ბრიგადა შემოქმედში

23 იანვარს შემოქმედის კოლმეურნეობაში მოვიდა კომკავშირელ მჭედელთა ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხ. ვასო გოგიბერიძე.

ბრიგადამ ორი დღის განმავლობაში შეაკეთა 20 გუთანი, 16 კულტივატორი, 30 სახნისი, 40 ტოხი და სხვ.

დამკვრელურად მუშაობდნენ: პროკოფი ქერქაძე და პარმენ ფოცხიშვილი.

ბრიგადის მუშაობით კოლმეურნეები კმაყოფილნი დარჩნენ.

კოლმეურნე

№4, 15 იანვარი, 1938 წ.

ფიზკულტურა და სპორტი

30 იანვარს მახარაძის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა ჩაატარა საქალაქო პირველობისთვის შეჯიბრი შტანგაზე. შეჯიბრში მონაწილეობდა სასპორტო საზოგადოებიდან: „დინამო,“„წითელი როზა“ და „სპარტაკი.“ფ-კ. კოლექტივებიდან მახარაძის ჩაის ფაბრიკა და სასწავლებლები.

შეჯიბრში გარდა მძიმე წონისა, მონაწილეობდა ყველა წონითი კატეგორიები.

შეჯიბრი ინტერესიანი იყო, რადგან ასეთი შეჯიბრი პირველად ჩატარდა მახარაზის რაიონში.

შეჯიბრის ტექნიკური შედეგებია:

1უმჩალტეს წონის სპორტსმენმა ვ. ლესელიძემ (საქართველოს რეკორდსმენი) ოლიმპიურ სამჭიდში მოაგროვა 223 კილოგრამი (აჭიმვა ორი ხელით-65 პლუს აგლეჯა ორი ხელით -68, პლიუს აკვრა ორი ხელით 90).

ამხ. ვ.ლესელიძემ ამავე დროს გადალახა საქართველოს რეკორდი მარცხენა ხელით აგლეჯაში. მისი შედეგია 51,2 კ. გრ.,(ძველი რეკორდი ეკუთვნოდა ბათომელ-პასიკოვს 50 კ.გრ. რომელიც მან დაამყარა 1935 წელს).

ნახევრად მჩალტე წონაში პირველი ადგილი დაიჭირა დიმიტრი კუჭუხიძემ, ოლიმპიურ სამჭიდში მოაგროვა 188კილოგრამი (აჭიმვა ორი ხელით 63 პლიუს აგლეჯა ორი ხელით 50, პლიუს აკვრა ორი ხელით 75).

მეორე ადგილი დაიკავა შ. ხურციძემ.

მჩალტე წონაში პირველი ადგილი დაიჭირა მიშა გოგოტიშვილმა: ოლიმპიურ სამჭიდში მოაგროვა 235 კილოგრამი (აჭიმვა ორი ხელით 70, პლიუს აგლეჯა ორი ხელით 70, პლიუს აკვრა ორი ხელით -95 კ.გრ.). მეორე ადგილი დაიჭირა გ.თოხაძემ.

საშუალო წონაში პირველი ადგილი დაიჭირა ნიკოლოზ მეგრელაძემ: ოლიმპიურ სამჭიდში მოაგროვა 205 კილოგრამი (აჭიმვა ორი ხელით 60, პლიუს აგლეჯა ორი ხელით 60, პლიუს აკვრა ორი ხელით 85 კ.გრ.)

ნახევრად მძიმე წონაში პირველ ადგილზე გავიდა ლადიკო ქვეითაია.

31 იანვარს მოწვეულიიქნა ძალოსანთა სექციის კონფერენცია,რომელზედაც განხილულ და დამტკიცებულ იქნა 1938 წლის ძალოსანთა სექციის გეგმა და კალენდარი.

მახარაძის ფ-კ. და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე: შ. ლესელიძე

№12, 16 თებერვალი, 1938 წ. .

რედაქციისაგან: *ვალერიან ლესელიძე სახელოვანი ძმები ლესელიძეების უმცროსი ძმა იყო, 1937 წლიდან იგი მახარაძის ფიზ–კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე იყო. დაიღუპა 1942 წელს ქერჩში; ომში დაიღუპა ძალოსანი, ოზურგეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრი დიმიტრი (ჭიკო) კუჭუხიძე.*

მკაცრად ვამხილოთ კარიერისტ–ცილისმწამლებები

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937წ. თებერვალ-მარტის პლენუმი მიგვითითებდა: „დაგმობილ იქნას პრაქტიკა ფორმალური და უსულგულო ბიუროკრატიული დამოკიდებულებისა პარტიის ცალკეულ წევრთა ბედიღბლის, პარტიის წევრების პარტიიდან გარიცხვის ან გარიცხულების პარტიის წევრთა უფლებებში აღდგენის საკითხებისადმი.“

მიუხედავად სტალინური ცენტრალური კომიტეტის მითითებისა, მახარაძის რაიკომის მდივნები –ამჟამად მხილებული როგორც ხალხის მტრები კილაძე და ადამაძე ხელაღებით რიცხავდნენ პარტიულებს. ამათი მნიშვნელოვანი ნაწილი გარიცხულია ბიუროს მიერ, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში არ ყოფილა განხილული პირველად პარტიული ორგანიზაციების კრებებზე. ხშირი შემთხვევა იყო დადგენილების გარეშე პარტიული ბილეთების ჩამორთმევის. ძაფსაღებ ქარხნის მუშა, პ-წევრი კატო ქავჟარაძე ბიურომ გარიცხა რადგან მან ძველი ნიმუშის პარტიული ბილეთების გამოცვლის დროს ვერ უპასუხა ერთ საგამოცდო კითხვაზე და ყოველგვარი წინასწარი დადგენილების გარეშე ჩამოართვეს მას ბილეთი.ლადიკო კიღურაძე, პ-წევრი,გურიანთის კოლმეურნეობის აგრო-ტექნიკოსი, ჩაის კრეფის საქმესთან დაკავშირებით გარიცხენ რაიკომში მოწვეულ ღია თატბირზე.

ოლია ველიჯანოვი, პ-წევრი მაკვანეთის ორგანიზაციიდან, ბრიგადირი ქალი, დამკვრელი, გარიცხეს იმიტომ, რომ ბილეთის შეცვლის დღეს ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა და აბრეშუმის ინკუბაციის დროს კრებას დააკლდა. მიუხედავად მაკვანეთის პირველად პარტორგანიზაციის წინააღმდეგობისა, ველიჯანოვი მაინც გარიცხეს.

ჭანიეთის კოლმეურნეობიდან ამხ. გერასიმე ლომჯარია გარიცხული იყო მისდამი ცილისწამების საფუზველზე ისე, რომ არავითარი სათანადო დამამტკიცებელი საბუთი არ ქონდათ. სიმართლის აღსადგენად მას უარს ეუბნებოდნენ. უდანაშაულოდ გარიცხულთა განცხადებებს -ყურადღებას არ აქცევდნენ, პირიქით, კიდევ უფრო აშინებდნენ მათ და არ ქონდათ საშუალება, როგორც პარტიაში, ისე სამსახურში აღდგენის.

საჭიროა მკაცრად ვამხილოთ კარიერისტები, ცილის მწამებლები, რომლებიც ცდილობენ დასთესონ პარტიის რიგებში ეჭვიანობა და ყალბი რწმენა...

შ.ჯ.

საქ. კ.პ. (ბ) მახარაძის რაიკომის ინსტრუქტორი

№13, 20 თებერვალი, 1938 წ.

ვახტანგ მამეიშვილი – 80

„მე ჩემი ხელოვნების კოშკი მაბარია“



ნისტური იდეოლოგიისათვის სჭირდებოდათ. ბატონობდა პომპეზური გაფორმებები და ყალბი პათოსი.

პირველი დაკვეთა სასაფლაოს პროექტი იყო და როცა კარგად შევასრულე, მაღლა მდგომი კომუნისტების გარდაცვლილი ახლობლების ბევრი საფლავის უფასო პროექტის გაკეთება მომიხდა და კასტამ მაღიარა, დაკვეთები გაჩნდა და ცოტა სული მოვითქვი, თან პიონერთა და მოსწავლეთა სახლში ვასწავლიდი ხატვას, თვეში 15 მანეთს მიხდიდნენ.

შემდგომ სამხატვრო სკოლის გახსნა დავისახე მიზნად და პარტიაში შესვლა შემთავაზეს, –დირექტორი პარტიული უნდა იყოსო. ადრე, კომკავშირში როცა მიმიღეს, მამაჩემმა სილა გამაწნა.შეურაცყოფილმა კარგა ფიქრის შემდეგ ყველაფერი გადავხარშე და „სხვაგვარად“ფიქრი დავიწყე. ახლა მამას გავენდე, იგი მოიღუშა და პასუხი ერთი კვირის შემდეგ გამცა.

–შვილო, მითხრა მან, –მთელი ცხოვრება ამათ უგუნურობასთან ბრძოლას შევალიე, სამჯერ დახვრეტას გადავურჩი. უწყინარი პროფესია მქონდა, პედაგოგი ვიყავი და მაინც მავიწროებდენო. პატიოსანი კაცი მუდამ დაჩაგრული იქნება ამათ ხელში. თუ რაიმეს გაკეთება გინდა, ხელს არ გაგანძრევინებენ და ასე ჩაივლის მთელი ცხოვრებაო. შედი პარტიაში ფიქტიურად და საქმე კი კეთილი აკეთეო. იმჟამად ბევრი ასე ფიქრობდა, ამან ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონში“ჰპოვა ასახვა. იყო აზრი, თუ ბევრი პატიოსანი კაცი შევიდოდა პარტიაში, იქნებ საქმე გამოსწორდესო, ეს რასაკვირველია დიდი შეცდომა იყო. ბატონ რეზო ესაძის არ იყოს, ამის შემდეგ ის მანდატი ჯიბეს მწვავდა, ბევრჯერ გადავწყვიტე დამედო, მაგრამ „ზედმეტად“ ჭკვიანები მიფრთხილდებოდნენ, საერთო საქმეს გააფუჭებო. 9 აპრილს კი მოთმინების ფიალა აივსო.

სამხატვრო სკოლა ჯემალ მიმინოშვილთან, ვასო მჟავანაძესთან და რევაზ ჯაშთან ერთად, 1973 წელს გავხსენით. დღეს თუ ოზურგეთს ბევრი მხატვარი, არქიტექტორი და დაიზაინერი ყავს –ეს ჩვენი სკოლის დამსახურებაა.

შემდეგ სამხატვრო გალერეის გახსნა დავისახეთ მიზნად და დიდი ძალისხმევის შემდეგ შევძელით. 18 წელია დღემდე ოზურგეთში ყოველ წელს ვაწყობდით გამოფენებს და მომავალიც უკეთ გვესახება.

ამის შემდეგ თავისთავად გაჩნდა იდეა, ჩამოგვეყალიბებინა მხატვართა, არქიტექტორთა და დიზაინერთა ასოციაცია. იგი საქველმოქმედოა და შესაძლებლობის ფარგლებში ეხმარება მასში გაერთიანებულ წევრებს. ვფიქრობთ, გარკვეული ფულადი ფონდის შექმნის შემდეგ შევისყიდოთ მხატვართა შემოქმედებითი ნამუშევრები. გვინდა, რომ მხატვარი იმედით იყოს, რომ მას არ ქონდეს შიმშილის შიში. მას ეყოლება დამკვეთი ჩვენი სახით, ასოციაცია ასრულებს ამჟამად ყველა სახის მხატვრულ და დიზაინურ სამუშაოს.

– როგორ მოხვედით ეროვნულ მოძრაობაში, ვინ იყვნენ თქვენი პირველი „თანამზრახველები“?

– ეროვნულ მოძრაობად მესახება ყველა საქმე, რომელიც სამშობლოს ემსახურება პატიოსნად.

სხვაგვარად მოაზროვნე ხალხის შეხვედრები ყოველთვის გვქონდა, იყო დისიდენტური ნამუშევრებიც. პოლიტიკურ ბრძოლაში 1987 წლიდან ჩავები. სურვილი გაგვიჩნდა, როგორც მოქმედი, აღგვედგინა შემოქმედის მონასტერი. ამ დროს ტაძარში სახალხო აკადემია იყო გახსნილი. კანკელი კი მუზეუმში გადაიტანეს. ეს იყო ბოლოდროინდელი დიდი მკვრეხელობა კომუნისტების მიერ ჩადენილი.

პირველად ჩვენს სახელოსნოში ვიკრიბებოდით, მაღაროთა სამმართველოში. ინჟინერი ვახტანგ თოხაძე იყო პირველთა შორის, რომელიც საჯაროდ გამოდიოდა და ხალხს ქრისტეს რჯულისკენ მოუწოდებდა. შემდეგ დათო შალიკაშვილმა, რომელიც ანჩისხატის ეკლესიაში იყო მედავითნედ, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილი II-საგან საჭირო დოკუმენტები ჩამოიტანა და შევუდექით საქმეს. ხელს გვიშლიდნენ, ორი ოცეული დაგვიშალეს, ბიუროკრატიული აპარატი საქმეს აყოვნებდა. ტაძარი დაგვიკეტეს. ერთხელ ბატონი მერაბ კოსტავა ჩამობრძანდა და დაკეტილი კარების წინ ვილოცეთ, შემდგომ სტიქაროსანი გოჩა აბულაძე გამოჩნდა და რამდენჯერმე იქადაგა ტაძარში. მასთან ერთად სასულიერო აკადემიის სტუდენტი, სტიქაროსანი იოსებ კიკვაძე (ამჟამად მეუფე იოსები–რედ) ჩამოვიდა. ხალხი ტაძარს მოაწყდა და დაიწყო რაღაც დიდი –ამაღელვებელი, მამა ნიკოლოზის ჩამობრძანებამ დიდი როლი ითამაშა ოზურგეთში ქრისტიანული ცხოვრების გაღვიძებაში, ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბებაში. ყველანი ტაძარში ვიკრიბებოდით, იხვეწებოდა ჩვენი ტრავმირებული გონება და შემოდიოდა ჩვენში უფალი და პატიოსნება. ამ დროს გაჩნდა აზრი, რომ ჩამოგვეყალიბებინა არაფორმალური საზოგადოება, რომელიც დაიწყებდა ეროვნულ მოძრაობას ოზურგეთში. ამ დროს თბილისი „დუღდა“ და ოზურგეთი ჩუმად იყო. თუმცა ოზურგეთელები მონაწილეობდნენ თბილისის აქციებში(დათო შალიკაშვილმა 8 დღე იშიმშილა ნოემბრის აქციის დროს), მთავრობამ თითქოს ოპოზიციური რუსთაველის საზოგადოება შექმნა ზემოდან. ცდილობდა პროცესების მართვა ხელთ აეღო. მე ამ საზოგადოების გამგეობის წევრად ამირჩიეს, მაგრამ როცა შევხედე საქმეს ისე არ მიდიოდა, სხვა საზოგადოების შექმნაზე დავიწყე ფიქრი. თანამზრახველების (ვ. თოხაძე, დ. შალიკაშვილი, ა. თავართქილაძე, რ. ჯაში, ბ. ჭკუასელი, თ. გოგუაძე და სხვები)ორჯერ შევიკრიბეთ, წარმოვადგინეთ პროგრამები. მესამე კრებას ვიტალი ჯაში დაესწრო,რომელიც თავმჯდომარედ ავირჩიეთ და 1988 წლის 10 ნოემბერს დაფუძნდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქველმოქმედო-დემოგრაფიული საზოგადოება, სადაც თავმჯდომარის მოადგილედ ვიყავი გარკვეულ დრომდე. ამ პერიოდში ვხდებოდით ეროვნული მოძრაობის ლიდერებს,ბატონ მერაბ კოსტავას და ბატონ ზვიად გამსახურდიას, ვმონაწილეობდით თბილისში, ქუთაისში, ბათუმში გამართულ სხვადასხვა აქციებში. ჩვენი საზოგადოების აქტიური მონაწილე იყო სწორედ ის ადამიანები, რომლებმაც შემდგომ ოზურგეთში რამდენიმე არაფორმალური პარტია შექმნეს.

– 9 აპრილის შემდეგ, თქვენ ოზურგეთში ყველა აქციის მონაწილე და ერთ-ერთი ორგანიზატორი იყავით. რა პირობებში ჩატარდა 10 აპრილის მიტინგი?

– 9 აპრილი მეხის გავარდნას გავდა. კონკრეტულად არ ვიცოდით, რა მოხდა თბილისში. ყველანი ქვეცნობიერად შევიკრიბეთ ტაძარში . აღელვებულები ვიყავით. ბოლოს სულიკო კივაძემ (ამჟამად მამა იოანე-რედ.) იყვირა, „ხალხნო, რაღაც მოვიმოქმედოთო“, მე და დავით ტაკიძემ გადავწყვიტეთ რაიკომის მდივნისაგან მოგვესმინა პასუხი და ქალაქში გავემართეთ. გზაში გადავწყვიტეთ, რომ მეორე დღეს, 3 საათზე მიტინგი გაგვემართა თეატრალურ მოედანზე. რაიკომის პირველმა მდივანმა ვერაფერი სანუგეშო გვითხრა, თვითონაც არაფერი ვიცი. ისე კი დიდი ფაციფუცი იგრძნობოდა, სკოლის დირექტორები იყვნენ გამოძახილები, სკოლებში საპასუხო რეაქციის ეშინოდათ. ჩვენ მდივანს ჩვენი გადაწყვეტილება ვუთხარით, მან კონკრეტულად ვერაფერი გვიპასუხა. ისევ ტაძარში დავბრუნდით, მხატვრებმა ითავეს საპროტესტო ლოზუნგების დაწერა, საქმე განაწილდა. 11 საათზე მდივნის მიერ გამოგზავნილი ინსტრუქტორი მოვიდა, მე და დავით ტაკიძეს მამა ნიკოლოზთან ერთად გვთხოვდნენ მისვლას. რომ მივედით მან განაცხადა, რომ იხსნიდა ყოველგვარ პასუხისმგებლობას მიტინგის ჩატარების შემთხვევაში, რადგან შესაძლოა სისხლი დაიღვაროსო. მამა ნიკოლოზმა მტკიცედ განაცხადა, სამგლოვიარო პარაკლისი უნდა ჩაატაროთო,რაზედაც მდივანმა უარი ვერ განაცხადა, ოღონდ ითხოვა, მიტინგი 5 საათისთვის გადაგვეტანა. მთელი დღე ლოზუნგებს ვწერდით, საღამოს ტაძარში მოწყობილ მიტინგზე გავანაწილეთ გასაკრავად განცხადებები. თუმცა უშიშროების სამსახურებმა ჩამოხსნა ისინი და შემდეგ დააკავა ოზურგეთის თეატრის მსახიობები კახა სარიშვილი, გოჩა ჯოხაძე და სხვები.

ადგილობრივმა მთავრობამ პროცესების წარმართვისათვის რაღაც კომისიის მაგვარი შექმნა, მაგრამ როცა მიტინგზე ხალხი მოვიდა და გაგვაფრილეს, რომ მერიასა და ბათუმში ჯარი მზად იყო ჩვენს დასარბევად, ბევრმა უარი განაცხადა პასუხისმგებლობაზე და თეატრის საფეხურებზე ზემოთ აინაცვლეს.

დავრჩით მე, სულიკო კიკვაძე, დათო ტაკიძე, ავთო თავართქილაძე. გია თავაძემ მტკიცედ განაცხადა, რომ აქედან ფეხს არ მოიცვლიდა არავინ, სანამ მიტინგი არ ჩატარდებოდა. რასაკვირველია, იყო შიშის გრძნობა, ძნელია იკისრო პასუხისმგებლობა, როცა ჯარით და სისხლით იმუქრებიან. აქ ხომ მარტო საკუთარი თავის პატრონი არ ხარ. ხალხის სისხლი რომ დაღვრილიყო, უფლის წინაშე უნდა გეგო პასუხი.

მიუხედავად უშიშროების და მილიციის უფროსების მუქარისა, მიტინგი ჩატარდა. შემდგომ გავემართეთ შემოქმედში პარაკლისის გადასახდელად. მონასტრის ეზოში 10 ათასამდე კაცი შეგროვდა. სამრეკლოზე ავცოცდით და იქედან მივმართეთ ხალხს.შემდეგ წავიკითხე განცხადება პარტიიდან გასვლის შესახებ და მოვუწოდე ყველას დაეტოვებინათ კომპარტიის რიგები.

შემდეგი აქცია თბილისში, მოწამლულთა მხარდასაჭერი საპროტესტო შიმშილობა გახლდათ. პირველები გამოგვეხმაურნენ დათო შალიკაშვილი და აბრეშუმის ფაბრიკის ახალგაზრდები (120 კაცი). შემდგომ მათი რიცხვი 150 კაცამდე გაიზარდა. იძულებული გავხდით მოშიმშილეთა რიცხვი 70-მდე შეგვემცირება.

ამ შიმშილობამ მთელი ოზურგეთი დააყენა ფეხზე. არასოდეს დამავიწყდება მათი მხარდაჭერა. ღამეებს გვითევდა ასეულობით ადამიანი . დიდი მადლობა მათ ამისათვის...

– მიუხედავად იმისა,რომ თქვენ დიდი დამსახურება გაქვთ ეროვნული მოძრაობის წინაშე, ფუნჯი და საჭრეთელი ხელიდან არ გაგიგდიათ და სკამი არ მოგითხოვიათ. თუმცა შეგეძლოთ ამ მხრივაც ბევრი რამ გაგეკეთებინათ საქართველოსათვის...

– ეროვნულ მოძრაობაში კაცი სკამისთვის არ უნდა მივიდეს. ჯერ საქართველოს სრულ თავისუფლებას მივაღწიოთ და შემდეგ ვიფიქროთ, გვეკუთვნის თუ არა სავარძელი, საქართველოს ჯარისკაცობაც დიდი პატივია. სკამი სულაც არ არის სახარბიელო, ეს ხომ უდიდესი პასუხისმგებლობაა. მე ყოველთვის ვფიქრობ, რომ იგი ჩემზე უკეთესმა და ღირსეულმა უნდა დაიკავოს, მაშინ, როცა ეროვნულ მოძრაობას სჭირდება განათლებული, პატიოსანი ადამიანები. „ვაჟკაცები“ შორიდან უთვალთვალებენ მოვლენებს და როგორც კი კომპარტია დამარცხდა ოქტომბრის არჩევნებში, სასწრაფოდ მოისროლეს ბილეთები და შეცვივდნენ „მრგვალი მაგიდის“ პარტიებში და დღეს ეროვნული მოძრაობის სახელით ხმამაღლა ღაღადებენ. კი, მჯერავს ბატონო, რომ უყვართ სამშობლო, უნდათ საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ სად იყვნენ მაშინ? განა სკამი უნდა იყოს თვითგამორკვევის კრიტერიუმი?

ჩვენი სამშობლო გალავნით შემოზღუდულ ბასტიონს გავს, სადაც ყველას მისი კოშკი აბარია. მე ჩემი ხელოვნების კოშკი მაბარია. მე თუ მოვშალე ეს კოშკი, მტერი იქედან შემოვა და თავის ხელოვნებას შემოიტანს საქართველოში და ექსპანსია მოხდება ხელოვნების მხრიდან. თუ რელიგია დათმობს –იქედან მოგვადგება მტერი. განა ფაქტი არ არის, როგორ ცდილობს მოსკოვი და მისი ერთგული სუკი რელიგიური ერთიანობის დარღვევას. ამიტომ მოგვიმრავლდნენ ეკუმენისტები, კრიშნაისტები, ევანგელისტები, 50-იანელები და სხვა სექტები. ეკლესიის ერთაინობა ყველამ უნდა დავიცვათ, თორემ იგი დამღუპველი გახდება საქართველოსათვის.იარაღი ჯარისკაცს აბარია, ჩვენ ფუნჯი და საჭრეთელი და თუ ყველა დაიცავს თავის ბასტიონს, მაშინ საქართველო გადარჩება...

ნუგზარ ასათიანი,

გაზეთი „თვალსაწიერი,“№12, 30 VIII,1991 წ.

P.S ამ ინტერვიუს შემდეგ 30 წელი გავიდა. რა შეიცვალა ამ ხნის მანძილზე? ბატონი ვახტანგ მამეიშვილი ამბობს, რომ 1991 წლის 6 იანვარს სამხედრო ხუნტამ დაამხო ეროვნული ხელისუფლება; მანამდე, შემდეგ მოკლეს მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე, ზვიად გამსახურდია და სხვები. ფაქტიურად ეროვნული მოძრაობა დაშალეს და მივიღეთ ფსევდო „ეროვნული მოძრაობა“.

თუ საქართველო გაერთიანდა ეროვნული მოძრაობის გარშემო და იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლიბისათვის, მას შემდეგ დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობს სკამისათვის, რითაც ილახება საქართველოს ინტერესები. თითოეულის ჩადენილი ცოდვების გამო საქართველოსთვის ეს არის სასჯელი, მაგრამ ვიტოვებთ იმედს, გონს მოვლენ და ეცდებიან ურთიერთსიყვარულით გადაარჩინონ საქართველო.

ხსოვნა

ლამზირი მექვაბიშვილი

ქართულ პედაგოგიურ საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული პედაგოგი გამოაკლდა. გარდაიცვალა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, მაკვანეთის საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი, უშრეტი ენერგიისა და ამაღლებული პასუხისმგებლობის მქონე, უკეთილშობილესი პიროვნება, ქალბატონი **ლამზირი მექვაბიშვილი**, რომელიც ათეული წლების მანძილზე რუდუნებით, პროფესიის უსაზღვრო სიყვარულით ემსახურებოდა მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

მისი აღსაზრდელები წარმატებით ეუფლლებოდნენ გოეთეს ენას.

პირადი მაგალითიც საამაყო ქონდა, ბრძანდებოდა სანიმუშო ოჯახის თავქალი. შესანიშნავი შვილებისა და შვილიშვილების აღმზრდელი.

უბადლო მანდილოსნის, სანიმუშო კოლეგის, ჭეშმარიტი პედაგოგის ლამზირი მექვაბიშვილის ნათელი ხსოვნა მარად იქნება დამკვიდ-რებული კოლეგების, მრავალრიცხოვანი აღზრდილებისა და უახლოესი ადამიანების გულში.

მაკვანეთის საჯარო სკოლა
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია

იზოლდა, როზა, ბახვა გოგუაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბიძაშვილის, სიკეთითა და სიყვარულით სავსე ადამიანის

ნუნუ აკოფოვი-კოპლატაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს ასკანის საჯარო სკოლის პედაგოგს ნინო კოპლატაძეს უსაყვარლესი დედის **ნუნუ აკოფოვი-კოპლატაძის** გარდაცვალების გამო.

მილოცვები

ციური ბაბილოძე 80 წლისაა

მერიის საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი დიდი სიყვარულით ულოცავს ღვაწლმოსილ პედაგოგს, სახალხო განათლების წარჩინებულ ქალბატონ **ციური ბაბილოძეს**, 80 წლის იუბილეს და უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლესა და წარმატებებს.

ღმერთმა დაგლოცოთ, ქალბატონო ციური!

ვულოცავთ!

ვულოცავთ ცნობილ ფეხბურთელს, სპორტის ოსტატს **იური ჩხაიძეს** დაბადებიდან 75 წელს.

იური ჩხაიძემ ფეხბურთში ვარჯიში მწვრთნელ რევაზ ცერცვაძესთან დაიწყო.

1963-1964 წლებში თამაშობდა საქართველოს პირველობაზე ოზურგეთის „მერცხალში.“

1965 წელს იგი სსრკ უმაღლესი ლიგის ბინადარ ქუთაისის „ტორპედოში“ მიიწვიეს. ამ გუნდში გამოდიდნენ: დავით გოგია, რევაზ ძოძუაშვილი, ზორბეგ ებრალიძე, ანზორ (სკენდერა) სიამაშვილი, გივი, ლევან ნოდიები, სერგო კუტივაძე, ჯემალ ხერხაძე და სხვები. 1971 წლის ჩათვლით გუნდის შემადგენლობაში ჩაატარა 113 მატჩი (მათ შორის 111 უმაღლეს ლიგაში) და 6 სათასო თამაში.

1969 წელს საქართველოს ნაკრებში მიიწვიეს და პოლონეთის ოლიმპიური ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა.

1973-74 წლებში ოზურგეთის „მერცხალში“ გამოდიოდა. შემდგომში პერიოდულად იყო ამ გუნდის მწვრთნელი, მათ შორის პირველ ეროვნულ ჩემპიონატში.

შემდეგ სოსო გაგუასთან ერთად დააფუძნა ბავშვთა საფეხბურთო კლუბი „ბასა,“ რომლის აღზრდილთა შორის არიან: ვაკო ყაზაიშვილი, ვალერი ბოლქვაძე, ნოდარ ლომინაძე..



სკანვორდი



პასუხები:

ლაჭა: ფალავანი – ალეფ: ევროპარლამენტი ირწყინა – ილია: ათასობრივი ჩალაფადი – ფა: ვევეი ჯანმრთელ – ჭიგვი: ეწოსდიალი ევროპა – რეალ: ჯიალეფლიანი ბაჯაღი – ლაგეფ.
– ალ: ჯეფი – დაგარწმა: ანმენმფლობა – ფავიერადი: ეკალინა ბიჭალა – ეფდგა: ეფდიანი ბრაგენა – ატი: ... ბაგეანმალი ბრაგენა – ჯინ: ფაბერ – ეს: ფავფალეფილი ბრაფჯა – ბენეა: ჯალანი ბალფენა – ბენეფ: ეფალეფ – ბალეფ: ბენეფ – ეფ: ბენეფ – ბენეფ: ბენეფ – ბენეფ: ბენეფ – ბენ

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917 წლის ნოემბერი)

1917 წლის შემოდგომიდან საქართველოში ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციის ახალი ეტაპი იწყება, რაც ეროვნული ყრილობის მოწვევით დასრულდა.

1. **მზადება ეროვნული ყრილობის მოსაწვევად.** საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობაეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ მოამზადა. 1917 წლის 8 ნოემბრის სხდომაზე დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ რა პრინციპით უნდა ეხელმძღვანელა ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს ეროვნული ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით - ტერიტორიულით თუ ეროვნულით. ამავე სხდომის დოკუმენტით, „ყრილობის მოწვევისას ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინება აუცილებლობად იყო მიჩნეული“.

ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ ეროვნული ყრილობის შემადგენლობის საკითხის გადაწყვეტას არაერთი სხდომა დაუთმო. საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს თხოვნით მიმართავდა სხვადასხვა ორგანიზაცია და დაწესებულება, რათა მათ მიერ არჩეული წარმომადგენლები ეროვნულ ყრილობაზე ყოფილიყვნენ დაშვებული. 1917 წლის 16 ნოემბერს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება საქართველოს ინტერპარტიულ საბჭოს მიმართავს განცხადებით: „ვინაიდან საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულება არის საქართველოში, ამიტომ ვთხოვთ ინტერპარტიულ საბჭოს დაუთმოს ჩვენს საზოგადოებას სამი წარმომადგენლის გაგზავნის უფლება...“ განცხადებას ხელს აწერს **ექვთიმე თაყაიშვილი.** 1917 წლის 16 ნოემბერს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ბაქოს განყოფილება საქართველოს ეროვნული ინტერპარტიულ საბჭოს მიმართავს: „საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე, რომელიც უნდა მოხდეს 19 ამა თვეს, დასასწრებლად, ბაქოს ქართველობამ ამოირჩია ორი პირი - სვიმონ კვიტაშვილი და შიო ბატურიშვილი იმ იმედით, რომ ორივე სრულის უფლებით იქნებიან დაშვებულნი ყრილობაზე. სამართლიანობა მოითხოვს, რომ ბაქოს ქართველობას, რომელიც რიცხვით შეადგენს 10 000 სულზე მეტს, ჰყავდეს თუ მეტი არა ორი წარმომადგენელი მაინც...“. 1917 წლის 18 ნოემბერს საკათალიკოზო საბჭოს კანცელარია ინტერპარტიულ საბჭოს მიმართავს: „საკათალიკოზო საბჭომ აირჩია საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლად ამა წლის 19 გიორგობისთვის მოწვეულ ეროვნულ კრებაზედ დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე“.

1917 წლის 18 ნოემბერს ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მთავარი გამგეობა ინტერპარტიული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს აუწყებს: „19 ნოემბერს საერთო კრებაზე დასასწრებლად მთავარ გამგეობის მიერ არჩეულ იქმნა წარმომადგენლად პართენ ალ. გოთუა“.

ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ გასცა ეროვნული ყრილობის მანდატები. მანვე გადაწყვიტა ეროვნულ ყრილობაზე მოწვეული ყოფილიყო ახლად შემდგარი ამიერკავკასიის კომისარიატი, სხვადასხვა სახელმწიფოს ელჩები და უცხოელთა ეროვნული საბჭოები. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს 1917 წლის 16 ნოემბრის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე გადაწყდა: „გაეგზავნოს დაპატიჟების წერილები მთიელების და სომხების, თათრების, უკრაინელების და პოლონელების ეროვნულ საბჭოებს. აგრეთვე უცხოელთა ელჩებს, კათალიკოსს, პრჟევალსკის (კავკასიის ფრონტის მთავარსარდალ მიხაილ პორჟევალსკის – ვ. გ.), კავკასიის შტაბის უფროსს (კავკასიის ფრონტის შტაბის უფროს ევგენი ლებედინსკის – ვ. გ.).

2. **საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა.** საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობაგაიხსნა 1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში.

ყრილობის შემადგენლობა. იმის გამო, რომ საქართველოს ეროვნული ყრილობის დელეგატები წინასწარ დამტკიცებული საარჩევნო კანონით არ აურჩევიათ, საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოში გამოითქვა აზრი, რომ მიეღოთ საარჩევნო კანონი, რათა საარჩევნო კანონის საფუძველზე არჩეულ ყრილობას სრული ლეგიტიმაცია ჰქნოდა. ამ აზრის მოწინააღმდეგეები აცხადებდნენ: საარჩევნო კანონის საფუძველზე არჩეულ ყრილობას სრული ლეგიტამაცია ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო კანონის მიმღები ორგანო თავად იქნებოდა ლეგიტიმური ანუ საარჩევნო კანონის საფუძველზე არჩეული. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო კი საარჩევნო კანონის საფუძველზე არ ყოფილა არჩეული, რის გამოც მის მიერ მიღებული საარჩევნო კანონი ვერავითარ ლეგიტიმაციას ვერ მისცემდა საქართველოს ეროვნულ ყრილობას. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ეროვნული ყრილობის დელეგატთა საერთო რაოდენობა და ყრილობის შემადგენლობა საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს განესაზღვრა. გადაწყდა, რომ კვოტები გამოეყოთ:

1. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოსათვის;
2. პოლიტიკური პარტიებისათვის;
3. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ცენტრისათვის;
4. ქალაქების თვითმმართველობებისათვის;
5. საგუბერნიო, სამაზრო და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის;
6. ქართული ჯარისათვის;
7. კოოპერატივებისათვის;
8. მასწავლებელთა კავშირისათვის;
9. ქართული პრესისათვის;
10. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის;
11. ვაჭარ-მრეწველთა და ბანკებისათვის;
12. თავადაზნაურობისათვის;
13. ქართული კოლონიებისათვის (უცხოეთში არსებული ქართული კოლონიები);
14. საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოსათვის;
15. სხვადასხვა დაწესებულებისათვის;
16. ქართველ მაჰმადიანთა და ქართველ კათოლიკეთათვის;
17. საქართველოში მცხოვრები ებრაელებისათვის;
18. აფხაზეთისათვის.

საქართველოს ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ დელეგატებისათვის კვოტები და კვოტებით ასარჩევ დელეგატთა რაოდენობა ისე განსაზღვრა, რომ ყრილობა განასახიერებდა სრულიად საქართველოს, ყველა კლასსა და სოციალურ ფენას, რომელთაგან უპირატესობა ინტელიგენციას ჰქონდა მინიჭებული.

საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობას ესწრებოდა 329 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 19 დელეგატი სათათბირო ხმით. ყრილობაზე წარმოდგენილი იყვნენ:

1. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო და პოლიტიკური პარტიები – 67 ხმა;
2. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ცენტრი – 15 ხმა;
3. ქალაქების თვითმმართველობები – 33 ხმა;
4. საგუბერნიო, სამაზრო და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტები – 39 ხმა;
5. ქართული ჯარი – 20 ხმა;
6. კოოპერატივები – 20 ხმა;
7. მასწავლებელთა კავშირი – 9 ხმა;
8. ქართული პრესა – 9 ხმა;
9. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები – 35 ხმა;
10. ვაჭარ-მრეწველები და ბანკები – 26 ხმა;
11. თავადაზნაურობა – 20 ხმა;
12. ქართული კოლონიები (უცხოეთში არსებული ქართული საზოგადოებები) – 8 ხმა;
13. საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭო – 1 ხმა;
14. სხვადასხვა დაწესებულება – 8 ხმა;
15. ქართველი კათოლიკეები და ქართველი მაჰმადიანები – 7 ხმა;
16. საქართველოში მცხოვრები ებრაელები – 3 ხმა;
17. აფხაზეთი – 2 ხმა.

ყრილობას დაესწრო საქართველოს კათოლიკოსი **კირიონ II**, უცხო სახელმწიფოთა და მეზობელი ერების წარმომადგენლები, ამიერკავკასიის კომისარიატი სრული შემადგენლობით, კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი გენერალი **მიხაილ პრჟევალსკი** და სხვები.

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სახელით ყრილობა გახსნა **აკაკი ჩხენკელმა**. ყრილობის თავმჯდომარედ არჩეული იქნა **ნოე ჟორდანია**. დამტკიცდა ყრილობის დღის წესრიგი:

1. თანამედროვე მომენტი და ქართველი ერი;
2. თავადაზნაურთა ქონების შესახებ;
3. მიმდინარე კითხვები (ერობა, ჯარის ნაციონალიზაცია, სასურსათო საკითხი, ეროვნული საბჭოს არჩევნები).

1917 წლის 20 ნომებერს ყრილობის დელეგატებმა შექმნეს სამუშაო სექციები:

1. ეროვნული საკითხის;
2. საერობო რეფორმის;
3. ჯარის ნაციონალიზაციის;
4. სკოლისა და უნივერსიტეტის;
5. ადმინისტრაციის;
6. იუსტიციის;
7. საფინანსო;
8. სასურსათო;
9. თავადაზნაურთა ქონების.

ნოე ჟორდანიას მოხსენების გამო მისაღები რეზოლუციის განხილვა და დამტკიცება. ყრილობის დღის წესრიგში მთავარი საკითხი იყო **„თანამედროვე მომენტი და ქართველი ერი“**. საკითხის განხილვას და შესაბამისი დადგენილების მიღებას მიეძღვნა ყრილობის სამუშაო დროის უდიდესი ნაწილი. ინტერპარტიული საბჭოს გადაწყვეტილებით ქართველი ერისათვის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ მოხსენების გაკეთება ნოე ჟორდანიას დაევალა. ნოე ჟორდანიამ თავისი მოხსენება ყრილობას 20 ნოემბერს წარუდგინა. მოხსენება ასე იყო დასათაურებული – **„დღევანდელი მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა“**. მოხსენების შემდეგ ყრილობას უნდა მიეღო რეზოლუცია. საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის რეზოლუცია დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნებოდა, ამიტომაც რეზოლუციის პროექტის შემუშავების მიზნით ყრილობამ შექმნა **ეროვნულ-პოლიტიკურის-ექცია.** ეროვნულ-პოლიტიკურ სექციაში შევიდნენ: **სოციალ-დემოკრატები:** ნოე ჟორდანია, გრიგოლ გიორგაძე, ვლადიმერ (ვალიკო) ჯუღელი, გრიგოლ ურატაძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, მიხეილ კლიმიაშვილი, გიორგი (გოგიტა) ფაღავა, დავით ონიაშვილი; **სოციალისტ-ფედერალისტები:** გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, გრიგოლ გველესიანი, იასონ ბაქრაძე, იაკობ ფანცხავა, სამსონ ფირცხალავა, დიმიტრი უზნაძე, აკაკი ფაღავა; **სოციალისტ-დემოკრატები ალიონელები**: პავლე საყვარელიძე, დავით სულიაშვილი, ლეო შენგელაია, ნიკოლოზ ქარცივაძე; **სოციალისტ-რევოლუციონერები**: ივანე გობეჩია, იოსებ გობეჩია, პარმენ საბაშვილი; **ეროვნულ-დემოკრატები:** გიორგი გვაზავა, გრიგოლ ვეშაპელი, ვასილ წერეთელი, ირაკლი ამირეჯიბი, ტიციან ტაბიძე, ლევან ჯაფარიძე, დავით გურამიშვლი, შალვა ამირეჯიბი, სექციის თავმჯდომარედ ყრილობის მიერ არჩეული იქნა ივანე გობეჩია, მდივნად სექციამ აირჩია აკაკი ფაღავა.

ეროვნულ-პოლიტიკური სექციის სხდომა დაიწყო იმით, რომ ნოე ჟორდანიამ წაიკითხა მის მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტი:

„ქართული ეროვნული ყრილობა, მოისმინა რა მოხსენება ნ. ჟორდანიასი შესახებ დღევანდელი მომენტისა და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობისა, ადგენს:

1. *ქართველი ერი, როგორც ამ ასი წლის განმავლობაში, სდგას რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე.*
2. *ქართველ დემოკრატიამ დღიდან თავისი პოლიტიკური არსებობისა თავისი სვებედი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის დემოკრატიას და მასთან ერთად მოქმედებით ფიქრობს თავისი პოლიტიკური ეკონომიკური და ნაციონალური მისწრაფებანი განახორციელოს.*
3. *რუსეთის შუაგულში გაჩაღებული სამოქალაქო ომის მეოხებით დღეს არ არსებობს ერთი ცენტრალური რევოლუციური მთავრობა, ცნობილი მთელი რევოლუციური რუსეთის მიერ. ამ გარემოებამ აიძულა ყველა განაპირა ქვეყნები და მათ შორის ამიერ-კავკასიაც თავისი შინაური საქმეები თავისი ძალ-ღონით მოაგვარონ და შესაფერი დაწესებულებანი შექმნან.*
4. *ყრილობა მხარს უჭერს ამიერ-კავკასიის ახლად შემდგად მმართველობის დროებით ორგანოს “ამიერ-კავკასიის კომისარიატს”.*
5. *ადგილობრივი მიმდინარე კითხვების სათანადო გადაწყვეტა და ცხოვრებაში გატარება აუცილებლად ხდის ამიერ-კავკასიის წარმომადგენელთა კრების მოწვევას იმ დეპუტატებისაგან, რომელშიც ახლად ირჩევიან რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის. რიცხვი დეპუტატებისა უნდა იქმნას გამრავლებული თანახმად პროპორციულად მიღებული ხმებისა სხვადასხვა პარტიების მიერ.*
6. *ყრილობა საჭიროდ სცნობს ამიერკავკასიის სეიმში შესდგეს ქართველ დეპუტატებისაგან ქართული ეროვნული საბჭო ნაციონალურ კითხვათა და საჭიროებათა გასარკვევათ, გასაძღოლათ და ცხოვრებაში გასატარებლად.*
7. *ყველა ამ ადგილობრივ ძალთა თავის მოყრა არა კმარა ყველა მიმდინარე საჭიროებათა საჭიროებანი კავკასიის ფრონტის შენახვისა, კითხვა ომისა და ზავისა, სასურსათო, ფინანსებისა და სხ. ჩვენი ძირითადი ინტერესები მოითხოვენ დაუყოვნებლივ აღდგენილ იქმნას რუსეთის რევოლიუციური მთავრობა და მოწვეული დამფუძნებელი კრება.*
8. *რუსეთის დამფუძნებელ კრებას ჩვენ მოვთხოვთ შექმნას ისეთი ნაციონალური ნორმებისას ქართველი ერისათვის, რომელიც მას მისცემს საშვალებას თავისუფალ კულტურული განვითარებისას. ასეთ ნორმად მიგვაჩნია საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ კითხვებზე. ტერიტორიის საზღვრები გაიმიჯნებიან დაინტერესებულ მოსაზღვრე ერების თანხმობით. საქართველოში მომწყვდეული ნაციონალური უმცირესობანი მიიღებენ სრულ უფლებრივ გარანტიას კულტურული განვითარებისას. ყრილობა საჭიროთ აღიარებს ამ მთავარ კითხვაში მოხდეს შეთანხმება ამიერ-კავკასიის ერთა შორის საერთო ნაციონალური პლატფორმით დამფუძნებელ კრების წინაშე წარსადგომათ.*
9. *თუ რუსეთის სამოქალაქო ომი გაგრძელდა და დამფუძნებელი კრების მოწვევა ახლო მომავალში ვერ მოხერხდება, უნდა იქმნას მოწვეული ადგილობრივი კრებები, რომელიც ურთიერთის თანხმობით დაამყარებენ შესაფერ დემოკრატიულ და ნაციონალურ წესწყობილებას, როგორც თვითოეულ ეროვნულ ტერიტორიულ ერთეულში, ისე მთელ ამიერკავკასიაში.*
10. *საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე ზრუნვა და მისი მოწვევა ევალება ეროვნულ საბჭოს”.*



ვახტანგ გურული
საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა (1918)
გვ 84-90

(გაგრძელება იქნება)

კვიცი გვარზე ხტის

სამხატვრო ხელმძღვანელმა რეჟისორს დიდი სცენისკენ მიუთითა

თემურ მარშანიშვილი

ოზურგეთის განახლებულმა თეატრმა თავის 153-ე თეატრალურ სეზონში მეექვსე პრემიერად მაყურებელს მცირე სცენაზე წარუდგინა **ვაცლავ ჰაველის** „ვერნისაჟი“ – აბსურდის კომედია ერთ მოქმედებად. დადგმა თეატრის ხელმძღვანელობამ ახალგაზრდა რეჟისორს **მამუკა ბაბილოძეს** მიანდო და არც შემცდარა, თუმცა ამის შესახებ ცოტა ქვემოთ.

საწყენად ნურავინ მიიღებს – იმის გამო, რომ ჩვენი მაყურებელი ზედმეტად პოლიტიზებულია, იგი ვაცლავ ჰაველს პოლიტიკური მოღვაწეობით (დისიდენტი, ანტიკომუნისტი პოლიტიკოსი, უფლებადამცველი, ჩეხოსლოვაკიის მეათე და უკანასკნელი პრეზიდენტი, ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი) უფრო იცნობს, ვიდრე დრამატურგიით, არადა, მისი 20-ზე მეტი პიესა თითქმის მუდმივად ზის ევროპის წამყვანი თეატრების რეპერტუარში, ესსეები კი მოკლე ლიტერატურული ჟანრის თანამედროვე საუკეთესო ნაწარმოებებად არის მიჩნეული.

ვასო ჩიგოგიძეს ასეთი რამ როგორ გამოეპარებოდა და, რასაკვირველია, გურულების ერთადერთი სახელმწიფო თეატრის რეპერტუარში ჰაველი სავსებით ლოგიკურად ჩაჯდა.

„ვერნისაჟი“, რომელშიც სულ სამი პერსონაჟია, საოცრად დინამიკური კომედიაა და მსახიობს სცენაზე ოდნავი მოდუნების, თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს. არ ვიცნობ სხვა თეატრების ვერას, მიხალისა და ბედროიხს, მაგრამ მათ განსასახიერებლად რომ თამარ მდინარაძემ, ვახტანგ ჩხარტიშვილმა და გიორგი ჩავლეშვილმა მაქსიმუმი გაიღეს, ეს უტყუარია.

თამარ მდინარაძემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისი, როგორც მსახიობის, შესაძლებლობები უკიდეგანოა, პლასტიკა – შეუდარებელი და ენერგია – ამოუწურავი. ამ როლში თამარის შესაფასებლად პიესიდან მიხალის სიტყვების პერიფრაზირებას მოვახდენ: „თამარი რომ არა, ვერას როლს სხვა ვერა მოუხდებოდა!“

ვახტანგ ჩხარტიშვილის მოქნილობას მიჩვეულები ვართ. ახალგაზრდა მსახიობი სცენაზე თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში, იმ განსხვავებით, რომ პირი წყლით არა აქვს სავსე, მოქმედებითაც და სიტყვითაც კარგად მიჰყავს თავისი გმირი მაყურებლამდე.

რაც შეეხება **გიორგი ჩავლეშვილს**, რამდენიმე წლის წინ, მისი სახით კარგი შევსება მიიღო თეატრმა. გიორგის თავისი, სხვებისგან განსხვავებული, დახვეწილი მანერა აქვს სცენაზე, მისი ბედროიხი მომთმენიცაა და ფეთქებადიც.

ცალკე უნდა აღინიშნოს მომცრო სცენაზე მსახიობების უშეცდომო ტემპერამენტიანი გადაადგილება, სცენის ბოლო წერტილამდე უზუსტესად გამოყენება და მაყურებელთან ახლო კონტაქტი.

მივედით მამუკა ბაბილოძემდე. ეს ახალგაზრდა რეჟისორის მეხუთე პრემიერა იყო ოზურგეთის თეატრში. ხუთბალიანი სისტემით თუ შევაფასებთ, მამუკამ, ჩემი აზრით, 25 ქულა დაიმსახურა ამ პრემიერებისთვის. სხვანაირად არც ეკადრებოდა ჩვენი **შოთა ბაბილოძის** ვაჟს, რომელიც მამის სათქმელს და საკეთებელს განაგრძობს მშობლიურ თეატრში. ასეა ეს: კვიცი გვარზე ხტის!

ყველაზე ნაღდად მამუკა მაინც ბატონმა ვასომ შეაფასა, როცა პრემიერის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა რეჟისორს დიდი სცენისკენ მიუთითა, უკვე დროა, შვილო, იქეთ გადაინაცვლოო. სამხატვრო ხელმძღვანელის ამ თბილ წინადადებაში საუკეთესო შეფასებაც იკითხება და დიდი ნდობაც.

და ბოლოს ერთ ფრაზას კიდევ დავესესხები ჰაველს, თუ ზუსტად ჩავინიშნე, პერიფრაზირების გარეშე: „ადამიანი ისე ცხოვრობს, როგორც სახლი აქვს მოწყობილი“. ჩვენი თეატრი კი როგორი სახლია, კარგად მოგეხსენებათ.

ს პ ო რ ტ ი

16 მედალი ოზურგეთელმა ჭაბუკებმა აიღეს

10-11 ივნისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში შაქრო ტულუშისა და იური ხომერიკის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი გაიმართა უმცროს ჭაბუკებს შორის.

აღნიშნულ ტურნირზე ოზურგეთის მუნიციალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა ჭიდაობის სექციის ნაკრებმა გუნდმა 16 მედალი აიღო.

აქედან 8 - ოქრო 3 - ვერცხლი და 5 - ბრინჯაო

ტურნირის ჩემპიონები გახდნენ:

დავით ცინარიძე (20კგ); **თომა ზაქარიაძე** (29კგ); **გიორგი გორდელაძე** (32კგ); **ნიკოლოზ კუტუბიძე** (35კგ); **რეზო გუჯაბიძე** (41კგ); **მათე დავიდოვი** (44 კგ); **ცოტნე კოჩალიძე** (48 კგ); **ნიკოლოზ ჯოგლიძე** (61 კგ);

ვერცხლის მედალოსნები გახდნენ:

ლუკა შარაძე (51 კგ); **ბაჩო აბაშიძე** (48 კგ); **კამო ხითარიანი** (57 კგ); **ნიკა აბაშიძე** (66კგ).

ბრინჯაოს მედლები ერგოთ:

ლუკა დოლიძეს (57 კგ); **დავით გობრონიძეს** (35კგ); **მათე მარტიკოვს** (66კგ); **მალხაზ კეკელიძეს** (32 კგ).

ოზურგეთელი მოჭიდავეები ასპარეზობისათვის მოამზადეს მწვრთნელებმა: **გურამ** და **ფრიდონ აბაშიძეებმა, ლაშა ქადეიშვილმა, ლაშა გუჯაბიძემ, თენგიზ მუჯირმა** და **კახაბერ აბაშიძემ.**

ურეკელების პირველი წარმატება

4-6 ივნისს ბათუმში, ტაეკვანდოში ბასკოს საკალათბურთო დარბაზში, ყველა ასაკობრივ ჯგუფში, საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა.

ასპარეზობაში მონაწილეობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებული ოზურგეთისა და ურეკის ტაეკვანდოს სექციის სპორტსმენებმა მიიღეს.

ოზურგეთელებმა შეჯიბრზე, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ორთვიანი ვარჯიში მოახერხეს, საპრიზო ადგილები დაიკავეს და შინ ხუთი მედალი წამოიღეს.

გოჩა სირაძე - 8 წლის (36 კგ) II ადგილი; **ნიკა ლაბარტყავა** - 8 წლის (25კგ) III ადგილი; **გიორგი არაშიძე** - 10 წლის (33კგ) III ადგილი (ოზურგეთის სექციის სპორტსმენები – მწვრთნელი: **ირაკლი ტულუში). ია მჟავია** - 9 წლის (31 კგ) III ადგილი; **გეგე გობრონიძე** - 8 წლის (27 კგ) III ადგილი;

(ურეკის სექციის სპორტსმენები - მწვრთნელი - **გიორგი ბერიძე**).

გოგოლაური №35 სკოლაში გააგრძელებს საფეხბურთო კარიერას

13 წლის ბექა გოგოლაურის თამაში, თბილისის №35 საფეხბურთო სკოლის ნაკრებ გუნდთან გასვლითი შეხვედრისას მოიწონეს აღნიშნული სკოლის ხელმღვანელმა და მწვრთნელებმა.

ბექა უკვე წლებია ოზურგეთის მინიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულ საფეხბურთო სექციის გუნდში, გოჩა კრასოტკინთან, რამაზ ასკურავასთან , თორნიკე წულაძესთან და გია გაგუასთან ვარჯიშობს და თამაშობს.

ბექა გამოირჩევა სისხარტით, ტექნიკით, თამაშის კულტურით, ასევე გუნდურობის შეგრძნებით, რაც ფეხბურთში მნიშვნელოვანია.

მისი თამაშით, უკვე N 35 სკოლის მაისურის ქვეშ, კმაყოფილები დარჩნენ მთავარი მწვრთნელი თამაზ

კოსტავა, მწვრთნელი, აკაკი კრასორკინი.

სადებიუტო გამოსვლისას პატარა ფეხბურთელი მოიწონა სკოლის ხელმძღვანელმა, გოჩა ავსაჯანიშვილმა.

ისინი ნორჩ ოზურგეთელ ფეხბურთელზე დიდ იმედებს ამყარებენ.

ბექა გოგოლაური სამეგრელოს ზონის გათამაშების შემდეგ ოზურგეთს დატოვებს და თბილისში, N 35 სკოლაში გააგრძელებს საფეხბურთო კარიერას.

წარმატებები ბექას საფეხბურთო ასპარეზზე, ეს ჩვენ ძალიან გვახარებს!

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +15+25	მცირე წვიმა +13+19	მზე, ღრუბელი +11+19	მცირე წვიმა +11+18	მზე, ღრუბელი +12+19	მზე, ღრუბელი +12+20	მზე, ღრუბელი +12+20
14 ივნისი ორშაბათი	15 ივნისი სამშაბათი	16 ივნისი ოთხშაბათი	17 ივნისი ხუთშაბათი	18 ივნისი პარასკევი	19 ივნისი შაბათი	20 ივნისი კვირა